ეროვნული ბიბლიოთეკა


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (6—6)

**ანასტასია დიმიტრის ასული ალექსი—მესხიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ქალაქ სიღნაღს თავის დედის **თამარ ედიშერის ასულის კნეინა ვაჩნაძისას** და სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის პანაშვიდზედ, რომელიც გარდახდილი იქმნება ტფილისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, პარასკევს, 9 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ. (1—1)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ან-უ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### სოხუმის საქალებო პროგიმნაზია

ამით იუწყება, რომ აღნიშნულ პროგიმნაზიის პანსიონში, ვისაც სურს შვილის შემოყვანა თავისის ხარჯით, არის სამი თავისუფალი ადგილი. თითო ბავშვისათვის ხარჯად უნდა შემოიტანონ 140 მანეთი წელიწადში. მსურველთ ყმაწვილები ქ. სოხუმში უნდა წარმოგზავნონ. (1—1)

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

როგორც იუწყება ტფილისის სამაზრო მკურნალი, ამ მაზრის სასანიტარო მდგომარეობა სექტემბრის განმავლობაში, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, არ იყო, საიმედო. იმ გადამდებმა მოარულმა, რომელიც დაიწყო ივლისის დამდეგს და მრავალი იმსხვერპლა ივლისსა და აგვისტოში, სექტემბერს დაჰკარგა სიმწვავე და მხოლოდ მაზრის აქა-იქ თუ იჩენდა თავს. ამას გარდა, სოფ. მამკოდას და ხაშმზედ გახდა ავად ყვავილით რამდენიმე ყმაწვილი. გადამდებ ავადმყოფობათა შორის, რომელსაც მოარულის თვისება არა აქვს, სახელდობრ ჴლექითა და ყვანათი, მთელს მაზრაში მხოლოდ ორი იყო ავად პირველითა და ერთი მეორე ავადმყოფობითა.

ტფილისის პოლიცმეისტერის ცნობით, სამხედრო უწყების კაცთა გარდა, რომელნიც იწვნენ სამხედრო საავადმყოფოში, გახდა ავად ტფილისში 13 ივნისიდამ 1 ივლისამდე 63, მორჩა 7, გარდ. 37; ივლისში გახდა ავად 257, მორჩა 70, გარდ. 165; აგვისტოში გახდა ავად 76, მორჩა 46, გარდ. 61; სექტემბერს ავად გახდა 16, მორჩა 5, გარდ. 12; 1 ოქტომბერს ავად არავინ არ იყო.

ახალქალაქის მაზრაში 22 სექტემბრიდგან 1 ოქტომბრამდე სოფ. დილისკას მორჩა 1 ავადმყოფი; სხვა ავად აღარავინ ყოფილა; სოფ. კოჩოში ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 1, ავად აღარავინ დარჩენილა; სოფ. ალუბანს ავად გახდა 1, გარდ. 1, ავად აღარავინ ყოფილა.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მმართებელი გუშინ, ამ თთვის 7, რკინის გზის საგანგებო მატარებლით ტფილისში ჩამობრძანდა ბორჯომიდგან.

*** ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ამ თთვის 6 ტფილისის გუბერნიის მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჰავარიანი ყარაიაზს გაჰგზავნა, რადგანაც ოფიციალურად აცნობეს, რომ სოფელ ყარა-თაფაში ხოლერა გაჩენილაო.

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, გუშინ თიონეთის მაზრას გაემგზავრა ბეითალი ნ. ი—ძე მეშჩერსკი იქ გაჩენილ საქონლის ჭირის მოსასპობლად.

*** ტფილისის დოლის საზოგადოებამ სხვათა შორის დაადგინა, გაზაფხულობით საქართველოს რამდენსამე ალაგას ცხენების იარმუკა გამართოს ხოლმე. იარმუკა გაიმართება: ტფილისში აპრილის დამდეგს, ქიურდამირში—მარტის დამლევს, განჯასა და ქუთაისში—მაისში, სოფ. ბორდოში (ჯევანშირის მაზრაში) მაისის დამლევს. ამ ალაგებში გამოიყვანენ ცხენებს გასასყიდად. ამას გარდა, საზოგადოების წევრთა წლიურმა კრებამ დაადგინა ტფილისში ყოველ წელს გამართოს ხოლმე ცხენების გამოფენა.

*** შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრებმა მოსწერეს ჩვენს ადმინისტრაციას, რომ მან სამინისტროში გაჰგზავნოს სია იმათი, ვინ უფრო მეტად მოღვაწეობდა ხოლერის მოსპობისათვის. ამ სიაში დაწვრილებით უნდა იყოს მოხსენებული, რომელმა მკურნალმა და აგრეთვე სანიტარმა რა საქმე იტვირთა და როგორ ებრძოდა ხოლერის გავრცელებას ტფილისში და აგრეთვე მთელს კავკასიაში. ეს სია ამ ჟამად თითქმის მზად არის ტფილისის მოღვაწეთა შესახებ და ამ თთვის დამლევს გაიგზავნება კიდეც პეტერბურგში.

*** ტფილისის ქალაქის საბჭომ 5 სექტემბერს განაგრძო განხილვა სანიტარ-მკურნალთა ინსტრუქციისა. ხანგრძლივის კამათობის შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა ინსტრუქციის განხილვა გადადებულ იქმნას. რაიცა შეეხება ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის აზრს, რომ დაწესდეს თანამდებობა ქალაქის სანიტარ-მკურნალ ინსპექტორისა, რომლის ხელშიაც უნდა იყოს ყოველივე სასანიტარო და სამკურნალო საქმე ქალაქის თვით-მმართველობისა და რომელიც პასუხის მგებელი უნდა იყოს ყოველ ამ საქმის ავ-კარგიანობისათვის, საბჭომ გადასწყვიტა, რომ ეს წინადადება ზემოხსენებულის ხმოსნისა გადაეცეს განსახილველად ორს შეერთებულს კომისიას: სასანიტაროსა და საფინანსოსა. ამავე შეერთებულს ორს კომისიას გადასცა საბჭომ წინადადება ხმოსნის თ. ალ. ჩოლაყაშვილისა, რომ ქალაქის მკურნალთ იტვირთონ და უსასყიდლოდ უწამლონ ღარიბსა და ხელ-მოკლე ხალხს: ტფილისის ნახევარი სულ ამისთანა ხელ-მოკლე ხალხიაო. სამკურნალოში მიდიან ისინი, ვისაც შეუძლიანთ, ხოლო მძიმე ავადმყოფნი მოარულით უექიმოდ რჩებიანო. იმავე კომისიას გადასცა საბჭომ წინადადება შაჰაზიზოვისა სასანიტარო ზედამხედველობის საქმის მოწყობისა. დასასრულ საბჭომ განიხილა აზრი ხმ. ნ. დ. ზუბალოვისა ცალკე სატეხნიკო საბჭოსი. საბჭომ გადასწყვიტა ეს წინადადება გადაეცეს გამგეობას და იმან განიხილოს ჯერ შენობათა კომისიასთან ერთადაო.

*** 6 ოქტომბერს სამოსამართლო პალატამ შემდეგი განაჩენი დაადგინა: თ. ალ. აბხაზი საეროზო ფულის დახარჯვაში გაამართლა, ხოლო სამსახურში ჩადენილ ყალბობისათვის გაამტყუნა და გადუწყვიტა ტობოლსკის გუბერნიაში გადასახლება და ამასთანავე დაადგინა, სთხოვოს ხელმწიფე იმპერატორს, რომ ეს სასჯელი სამსახურიდგან დათხოვნით შეეცვალოსო.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის მეორე გიმნაზიის დირექტორს ბ-ნს დრბოგლავს შეუდგენია ვრცელი მოხსენება და უნდა წარუდგინოს ბ-ნს კავკასიის ოლქის მზრუნველს. ამ მოხსენებაში ამტკიცებს უპირატესობას სწორე წერისას (როგორიც ქართულია) მრუდე ნაწერთან შედარებით (როგორც აწ რუსულად

## ფელეტონი

### ყოველთვიური პროვინციელისა

(წერილი გურიიდამ)

აგვისტო და სექტემბერი

არ ვიცით, რას უნდა მიეწეროს, გურულებისსიწმინდ-სიფაქიზეს, მკურნალთა და სანიტართა გულ-მოდგინებას, პოლიციელთა მხნეობას, თუ ავაზაკთა ბელადის მიქელაშვილის თავისუფლად თარეშს, რომ ხოლერამ გურია უნახავად დაავდო. ან შესაძლებელია, მოწყალებითა ღვთისათა, გურია მანგლისსავით დაზღვეული იყოს ამ ავის ჭირისა და სენისაგან! ასეა თუ ისე, წელს, ვგონებ, გადავრჩით ამ ახირებულის მოვახშის შემოსევას და, ცოტა არ იყოს, დავშოშმინდით, ე. ი. ხოლერის შიში გულიდგან გადავიყარეთ. ისე-კი როდის მოხდება ჩვენი დაშოშმინება და დამშვიდება, ალლაჰმა უწყოდეს. ჩვენში ფესვ-გადგმულია ხოლერაზედ არა ნაკლებ საშიში სენი, რომელიც დღე-დღეზედ გვპირებს განადგურებას და აღგვას პირისაგან ქვეყნისა. მე მოგახსენებთ ავაზაკობაზედ. კარგა ხანია ჰღაღადებენ და ვღაღადებ მეც, რომ ავაზაკობა რთული გარემოებაა, რომლის თვისებასაც ძირიან-ფესვიანად, მთელ თვის სიღრმე-სიგანეზედ უნდა შესწავლა და სათანადო წამლის დადება, თორემ ახლანდელი ღონისძიებანი მის წინააღმდეგ ამაოა; მაგრამ ვინ დაგიჯერა.

წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს
გაჰკვეთს, ანუ გაამსივნებს-ო,

სთქვა ჩვენმა შოთამ. „სისხლი სისხლით არ გაიბანებაო“, ამბობს ჩვენი ანდაზა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, დიდს საბუთს მაძლევს, ერთხელ კიდევ ჩამოვაგდო საუბარი ამ საჭირბოროტო საგანზედ და ერთხელ კიდევ მოვაგონო ქვეყანას, რომ დიდად დაძველებულ-დახავსებულია ის ღონისძიებანი, რომლითაც განგვიზრახავს „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ დაამყარონ ჩვენში.

აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?..

დიაღ, თუ უკუვიხედავთ წარსულისაკენ და გონიერად დავუკვირდებით მის ავ-კარგს, ძალა-უნებურად მოგვაგონდება ზემოდ მოყვანილი ძალუმი სიტყვები პოეტისა. გამოცდილებით ვიცით, რომ ყოველი ღონისძიება, რომელიც-კი ავაზაკობის წინააღმდეგ მიგვიღია, სწორედ იმ უსარგებლო გუთანსა ჰგავს, ტყუილ-უბრალოდ რომ აუჩეჩია მიწა და ერთი მავნებელი ბალახიც-კი ძირიან-ფესვიანად ვერ მოუთხრია. სულ ორი თთვე გავიდა მას აქეთ, რაც მიქელაშვილის ავაზაკთა ბრბოდგან მარტო მიქელაშვილი-ღა გადარჩა. ამ ამბავს დიდს ძლევა-მოსილებად რაცხდნენ ძველის ღონისძიების მადიდებელნი და გაიძახოდნენ: ერთად ერთი დაგვრჩა და იმასაც ადრე მოუღებთ ბოლოსაო. მაგრამ ვნახეთ, რომ ეს ერთი შვიდად თუ რვად ქცეულა და აპირებს თავის საქმის განგრძობას. პირველი „ვიზიტი“ ჩოხატაურს გაუწია და, ჩვენ რომ იმის ზრდილობის ამბავი ვიცით, უმადურად და უნახავად არც სხვა დაბა-სოფელს დააგდებს. აქედგან სჩანს, რომ თითო ოროლა ავაზაკის მოკვლა ავაზაკობას ვერ ამოფხვრის. მაშასადამე საჭირო ყოფილა უფრო უებარი წამალი, უფრო რადიკალური ღონისძიებანი. ხოლო ვიდრე ასეთს ღონისძიებას მივმართავდეთ, უნდა ვიცოდეთ, სადა აქვს ავაზაკობას სათავე და რა არის მიზეზი იმისა, რომ ღვთის ხატებად და მსგავსებად შექმნილი ადამიანი ღმერთსაც ივიწყებს, ხატსაც, ადამიანობასაც და მხეცად გარდაიქმნება. აი საკითხი, რომელმაც უნდა დააფიქროს ქვეყნის თავად და მზრუნველად მოწოდებული თავები...

დღევანდლამდე კარანტინიც უებარი საშუალება ეგონათ ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ, მაგრამ დღეს დარწმუნდნენ, რომ არა თუ უებარი არ ყოფილა, არამედ მავნებელიც. ბუდიდამ დაძრულს და ქვეყნის მოსავლელად ამგზავრებულს ხოლერას გზა-გზა რამდენიც უნდა ვებრძოლოთ კარანტინებით, ვერავითარ სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთო,—ამბობენ ქვეყნის გულ-შემატკივარნი კაცები. ისევ, რადგანაც ხოლერა საქვეყნო და საერთო უბედურებად გამხდარა, შოდით, ყველა სახელმწიფომ, ყველა ერმა მივიღოთ მასთან ბრძოლაში მონაწილეობა და იერიში მივიტანოთ პირდაპირ მის სამუდამო ბანაკზეო. ხოლო ვინ არ იცის, რომ სამუდამო ბანაკი ხოლერისა ინდოეთია და სრულიად ინდოეთი-კი არა, არამედ ერთი იმისი პროვინცია, სახელდობრ ბენგალია, რომელიც სრულიად და სავსებით ჭაობებს უპყრია. აი, ეს ჭაობები გახლავთ ბუდე და აკვანი ხოლერისა. აქ ბარტყობს და იზრდება ის უცნაური და საშინელი ლაშქარი, რომელიც ხანდახან მთელს ქვეყანას მოედება დასარბევად და დასაწიოკებლად. თუ სწავლულთა და მეცნიე-

სწერენ) და უნდა სთხოვოს, რომ, საცდელად მაინც, მეორე გიმნაზიაში სწორე წერა იქმნას შემოღებულიო.

⁂ დაიბეჭდა ფრიად ვრცელი სალვთის-მეტყველო წიგნი ძველის მწერლობისა: «მზა-მეტყველება», თხზ. ანტონ I-ისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოზისა. ეს წიგნი აქამდე ხელნაწერად იყო და ახლა პირველად ეღირსა დაბეჭდვა. მისის დაბეჭდვის ხარჯი იტვირთა ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ, გორის ეპისკოპოსმა. თითქმის ორი-სამი წელიწადია, რაც დაიწყო ამ ხელ-ნაწერის ბეჭდვა, მაგრამ, სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზის გამო, მხოლოდ დღეს გათავდა მისი ბეჭდვა. წიგნი ბევრ ნაირად საყურადღებოა ჩვენის სამღვდელოებისათვის და მეტადრე იმათთვის, ვინც საქართველოს სალვთის-მეტყველო მეცნიერებას ეტანება. ფასი წიგნისა 2 მან. 50 კაპ.

⁂ გნ. არღუთინსკი - დოლგორუკს, მეორე საკვირაო სასწავლებლის მმართველს, ნება-რთვა მიუღია, რომ თავისის სკოლისათვის სახელოსნო სასწავლებლის რამდენიმე კლასი მოიხმაროს კვირაობით დილის 11-დგან ნაშუადღევის 4 საათამდე. აქამდის ეს სასწავლებელი ნიკოლოოზის სასწავლებელთან იმყოფებოდა, საზოგადო ქუჩაზედ, და ეხლა, რაკი ეს სასწავლებელი ნიკოლოოზისავე ქუჩაზედ გადიტანეს, გნ. არგუთინსკი-დოლგორუკი მოუხერხებლად სთვლიდა თავისი საკვირაო სასწავლებელიც ამ ქუჩაზედ გადაეტანა, ჯერ ერთი იმიტომ-რომ იქვე ახლო დაარსებულია პირველი საკვირაო სკოლა და, მეორეც, ანჩისხატის უბანში, სადაც წინად იყო მეორე საკვირაო სკოლა, უმეტესად ქართველები და სომხები სცხოვრობენ და სწორედ იმათთვის არის დაარსებული საკვირაო სასწავლებელი ქართულისა და სომხურის განყოფილებითურთ.

⁂ სოფ. ზეკარი: ჩვენში ერთი სამწუხარო ამბავი დატრიალდა. საჭურისების აბანოში მისულიყვნენ დარისპანე დათეშიძის ცოლშვილი და ცოლის და-ძმა ჯაფარიძენი. 29 სექტემბერს საღამოს ყაჩაღები დასცემიან ამ აბანოს. როცა მათი მიახლოვება შეუნიშნავთ, საჭურისები შეშინებულან და დათეშიძეების ბინაში შევარდნილან. ყაჩაღები 26-მდე ძალაზედ შეიარაღებულნი ყოფილან. ყარამან ჯაფარიძეს შიგნიდგან გადუკეტია ოთახის კარები და დაუწყია თოფის სროლა. ყაჩაღებსაც თოფის სროლითვე უგიათ პასუხი, დამალულ საჭურისებს რამდენიმე ტყვია მოხვედრიათ: ერთს ფეხი მოსტეხია და მეორეს ბარძაყი დაჰშავებია. შემდეგ შიგ სახლში შევარდნილან, ჯაფარიძის ქალი-შვილს შიგ გულში მოხვედრია ტყვია და უსულოდ დაცემულა. გაუძარცავთ, რაც-კი ჰქონიათ ð დაუჭრიათ ჯაფარიძე, რომელსაც ოცი თუმანი უძლევია ყაჩაღებისათვის, მაგრამ ისინი არ დასჯერებიან.

⁂ ტფილისში შაქარს თანდათან ფასი ემატება და, როგორც სჩანს, არც შემდეგში მოაკლდება. „Одес. Лис.“-ი სწერს: შაქარი თითონ რუსეთშივე ისეთი ძვირია, რომ აქციზიც რომ გადიხადონ და რასაც მექარხნეები ფულს იღებენ მთავრობისაგან შაქრის საზღვარ-გარეთ გატანის პრემიად, ისიც დაუბრუნდა მთავრობას, მაინც მოგებულნი იქმნებიანო. მეორეს მხრით ჭარხლის მოსავალი წელს ძლიერ ნაკლებია და ესეც, რაღა თქმა უნდა, შაქრის გაძვირებას ხელს შეუწყობს.

⁂ ამას წინად ერთ აქაურს მცხოვრებს მ. ახალგაზდა ქალიშვილი გაუხდა ავად. პირველად ყმაწვილს ფეხზედ რაღაც მუწუკის მსგავსი წყლული გამოუვიდა, თანდათან უსივდებოდა და ბოლოს დროს ანთებად გადაექცა. მკურნალმა დიდხანს ვერ შეიტყო მიზეზი ამ ავადმყოფობისა და მერე რაღაც ნაირად გაიხსენა გაესინჯა ყმაწვილის წინდა, რომელიც გაგზავნა ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში გასასინჯად, რა არის წინდების საღებავში შერეულიო. როდესაც ლაბორატორიამ გასინჯა, აღმოჩნდა, საღებავში დარიშხანა ყოფილიყო შერეული და, რასაკვირველია, ყმაწვილის სნეულების მიზეზი ესა ყოფილა (Кавказъ-ი).

⁂ ზუგდიდიდგან აცნობებენ გაზ. „Нов. Обоз.“-ს, რომ ამხანაგი გამოჩენილის ავაზაკის მაცი პიპიასიო ქვარაცხელია, რომელიც საპატიმროში იყო დამწყვდეული, გაიქცა და ცხენების ქურდობას მიჰყო ხელიო.

⁂ 6 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებანი ბ-ნ პარჩევსკის თავმჯდომარეობით და წევრ კოვალიოვითურთ წავიდნენ ტფილისიდგან კახეთს, თელავს, სიღნაღსა და ზაქათალას; ბ-ნ ბრონიცკის თავმჯდომარეობით და წევრ თუმანიშვილითურთ შულავერს, სადაც დარჩებიან 24 ოქტომბრამდე („Т. Л.“)

⁂ ამ თვის 6-სს ნიკოლოოზის ქუჩაზედ გაბრიელ ბადალოვმა სიმთვრალის დროს რევოლვერი ესროლა იოსებ ვართანოვს, მაგრამ ტყვია ააცდინა და ვართანოვი მშვიდობით გადარჩა. ბადალოვი შეიპყრეს.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.

6 ოქტომბერს.

კრებამ, საზოგადოების საბჭოს უფროს წევრის ბ-ნ ქალანთარის თავსმჯდომარეობით, გადასწყვიტა ყველაზედ პირველად, შეწყნარებულ იქმნას სურვილი სუნჯის სტანიცისა და დაარსდეს ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში ერთი სტიპენდია, რომლისათვისაც ამ სტანიცამ გადასდო 3900 მან. 17 ოქტომბერს მათ უდიდებულესობათა სასწაულებრ გადარჩენის სახსოვრადაო.

შემდეგ კრებამ მოისმინა ქაღალდი საბაღოსნო სკოლის გამგებლის ბ-ნ ოსტაპოვიჩისა, რომელიც ამ სამოსწავლო წლის დამდეგიდამ თავს ანებებს სკოლის გამგებლობას. ამის გამო საზოგადოებამ უკვე დაჰბეჭდა ტფილისისა ð პეტერბურგის-მოსკოვის გაზეთებში განცხადება და მოიწვია ყველა, ვისაც ჰსურს მიიღოს ეს ადგილი. კრებამ დასწყვიტა, რომ საჭიროა ქაღალდი მიეწეროს აგრეთვე ვარშავის სამეურნეო სასწავლებელს, იქნება იქ ვიშოვნოთ უფრო შესაფერი კაცი ჩვენის სასწავლებლისათვისაო. ბევრი ლაპარაკი გამოიწვია იმან, თუ როგორ უნდა ჩამოერთვას წინანდელს გამგებელს სკოლისას ყოველივე ქონება. წევრთა შორის ზოგნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ქონების მიღების დროს უნდა დაესწროს ერთი წევრი სარევიზიო კომისიისაო, როგორც თვით ბ-ნი ოსტაპოვიჩიც ითხოვს მაგასაო; ზოგნი-კი ამტკიცებდნენ, რომ რევიზიის წევრი საჭირო არ არისო. მიმღები მიიღებს სიით იმას, რაც სკოლას აქვსო. თუ ან აკლია რამ, ან დახარჯულა და წამხდარა, მაგის გარკვევა სარევიზიო კომისიის საქმეაო. გადასწყდა, ჩაიბარონ ყოველივე ქონება სიით.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სკოლას დასდებია საქალაქო გამგეობისა მილის წყლის ფული, ამის შესახებ დანიშნულმა კომისიამ მოახსენა კრებას შემდეგი: სკოლას ბევრად მეტი უნდებოდა წყალი, ვიდრე საზოგადოებამ ივარაუდა. საზოგადოების ფიქრით, სკოლას უნდა ჰყოფნოდა წელიწადში 100,000 ვედრა, მონდომებია-კი ყვავილების სარწყავად და სკოლის სხვა საჭიროებისათვის შარშან-წინ 272 ათასი ვედრა, შარშან-კი 200 ათასი. ამიტომ ფულიც მეტი იყო ხოლმე შესატანი წყლისა ქალაქის გამგეობაში, ხოლო, რა-კი ეს ფული დროზედ არ შედიოდა, ამიტომ ჯარიმა ედებოდა სკოლას. ეს ჯარიმები და აგრეთვე, რაც დაგვედო კიდევ წყლისა, სულ 346 მანათიაო. მეორე წელიწადს ნაკლები დაიხარჯა წყალი იმიტომ რომ, ამ ზაფხულს ხოლერის გამო ტფილისში, შეგირდები დათხოვნილ იქმნენო.

დ. ზ. ყორღანოვმა მოახსენა კრებას, რომ ამ ზაფხულს სანიტართა დასმა შეჰნიშნა უსუფთაობა საზოგადოების სადგომის ეზოში, და სასურველია, რომ პასუხის მგებელი იყოს ვინმე ამისთანა საქმეში, მიენდოს ვისმე, ყური უგდოს ჩვენის სადგომის სასანიტარო მდგომარეობასაო. საბჭო საკოლეგიო დაწესებულებაა, ის ვერ იქნება პასუხის მგებელი; სადგომი ხაზინის საკუთრებაა და ამიტომ ისევ საზოგადოების მდივანი თუ იტვირთებს ამ საქმესაო. კრებამ ასეც გადასწყვიტა ეს საქმე.

საყურადღებო იყო მოხსენება ცალკე კომისიისა იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს სამეურნეო საზოგადოებამ ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაში. კომისიაში არიან: ქალანთარი, შიმანოვსკი, ზელინსკი, ხატისოვი და ტარატინოვი. ამათის შემუშავებულ პროექტით უნდა შესდგეს პატარ-პატარა კოლექციები ჩვენის სამეურნეო წარმოებისა, მოპოვებულ იქმნან მსურველნი თავიანთ ნაწარმოებისა და ხელ-საქმეთა გაგზავნისა ჩიკაგოს და აგრეთვე მოგროვდეს გასაგზავნად ის წიგნები, რომელიც შეეხება ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა წარმოებასა, მრეწველობასა და სამეურნეო სტატისტიკას. კომისიისავე აზრით, საჭიროა შესდგეს პატარა წიგნი და მოკლედ იყოს შიგ ახსნილი და განმარტებული, რა ყოფასა და ვითარებაშიაც არის დღეს მეურნეობა კავკასიისა. ამისათვის უნდა დაინიშნოს ჯილდო 150—200 მან. და მიეცეს იმას, ვინც ამ წიგნს შეადგენსო. როგორც იწერება გამოფენის პეტერბურგელი კომისია, ხარჯს ექსპონატების გაგზავნისას პეტერბურგიდამ ჩიკაგოს მთავრობა კისრულობსო, ხოლო აქედგან პეტერბურგამდე გაგზავნის ხარჯად ვსთხოვოთ ამ კომისიას 1500 მან. ფული, რომელიც დაგვჭირდება ექსპონატების გაგზავნის ხარჯად ტფილისიდამ პეტერბურგს, დაგვჭირდება აგრეთვე იმ კაცის დასაჯილდოვებლად, ვინც იტვირთებს სამეურნეო კოლექციების შედგენას და დამზადებას, პრემიისათვის და სხვ.

კრებამ შეიწყნარა მოხსენება კომისიისა და გადასწყვიტა, მიეწეროს ყოველივე პეტერბურგს ჩიკაგოს გამოფენაზედ რუსეთის განყოფილების გამართვისათვის დაარსებულს კომისიას და, როცა იქიდამ სასურველი პასუხი მოგვივა, პრემიაც გამოვაცხადოთო. ხოლო, რადგან ეგ დაჯილდოვებული წიგნი მერე უნდა გადაითარგმნოს ინგლისურად, ამიტომ საჭიროა ორ თვეში იქმნას წარმოდგენილი, რათა გადათარგმნა მისი არ დაგვიანდესო. ექსპონატებიც დამზადდეს იანვრის გასულისათვისაო, იმიტომ რომ პეტერბურგის კომისიამ ყოველი ამერიკას გასაგზავნი ნივთი უნდა მიიღოს მერმის 1 მარტამდე, ხოლო აპრილის დამდეგს უნდა გაჰგზავნოს კიდეც ჩიკაგოსაო.

ბოლოს ბ-ნმა ქალანთარმა წაიკითხა ფრიად საინტერესო მოხსენება წლევანდელ ცხენების გამოფენის შესახებ ტფილისში. ამ მოხსენებაში მთლად იყო განმარტებული და ახსნილი მნიშვნელობა ყოველ-გვარის ცხენისა მეურნეობაში, ჯიშის განკარგების ვითარება, ცხენის ჯოგების ამბავი კავკასიაში და სხვა.

---

რთა აზრი გახორციელდა და ქვეყანამ ერთობილის ძალით გააშრო ეს ჭაობიანი ალაგები, მაშინ ბანაკი ხოლერისა სრულიად შეიმუსრება და ეს საშინელი სენიც დედა-ბუდიანად ამოვარდება...

ვგონებ, არც ჩვენ გვაწყენდა გვეფიქრა იმაზედ, თუ სად არის ავაზაკობის, ამ ხოლერაზედ არა ნაკლები სენის ბუდე და აკვანი, რომ პირდაპირ იქითკენ მიგვეტანა იერიში და ეს კარანტინებური ღონისძიებანი უფრო რადიკალურ ღონისძიებით შეგვეცვალა. ვიცი, ამ სიტყვებზედ ბევრნი ჭკვიანურად გაიღიმებენ და სრულის გულ-დაჯერებით, თითქო ჭეშმარიტებას ამბობენო, იტყვიან: ამას რა დიდი ლარი და ხაზი, რა დიდი კვლევა და ძიება უნდა! ავაზაკობის ბუდეც გურიაა და აკვანიცაო. რომ დამიჯერებდნენ, მე ვიცი, როგორადაც მოვსპობდი ავაზაკობასაო და სხვა. ბევრჯელ დაუჯერიათ ამ ჭკვიანებისათვის, ახლაც უჯერებენ და, იმედია, კვლავაც დაუჯერებენ, მაგრამ ამით ჩვენს წყლულს მალამო არ ჰღირსებია და არც ეღირსება. მაშასადამე ამ საგანს უფრო ღმობიერად და უფრო გონიერად უნდა გაჭვრეტა და გაკითხვაც. დიდებულმა ვიქტორ ჰიუგომ სთქვა: „დაჰზარდეთ, გაანათლეთ, გააგონიერეთ ბლუხის თავი და აღარ მოგინდებათ მისი მოკვეთაო“. მართალია, ჩვენი ჭკვიანები ჭკუასა და სიბრძნეში თვით ჰიუგოსაც გაუწევენ ცილობას, მაგრამ, ვგონებ, ამ ჭეშმარიტებას ვერაფრით გააბათილებენ. სჩანს, ავაზაკობის ბუდე გურია-კი არ ყოფილა, არამედ უმეცრება. ვიდრე ამას არ შევიგნებთ და შესაფერ წამალსა და ღონისძიებას არ მოვსძებნით, მინამ დამშვიდება და დაწყნარება არ გვიწერია და არა. მოიყვანეთ უმეცარი ცნობაზედ, უსახსროს ცხოვრების სახსარი გაუჩინეთ, შრომას ფასი დასდეთ, მშრომლის ყადრი და პატივისცემა იქონიეთ და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ ღონისძიებათა წყალობით ავაზაკობის ბუდეც გაქარწყლდება, აკვანიც შეიმუსრება და ავაზაკობაც ამოიფხვრება. დეე, უჯერომ დაიჯეროს და ურწმუნო დარწმუნდეს, რომ ავაზაკობა უმეცრებითაა ძუძუ-ნაწოვი და სიბნელეშია აღზრდილი, ხოლო უმეცრებასთან მეცნიერებამ უნდა იბრძოლოს და სიბნელესთან სინათლემ. უამისობა ყოვლად შეუძლებელია. დღეს რომ ავაზაკთა მთელი ბრბო გასწყვიტოთ, უმეცრება მაინც თავისას იზამს და ხვალ ახალ ბრბოსთან გექნებათ საქმე.

ამ ნაირად, ყოველის ჩვენის ძალღონით უნდა ვეცადნეთ, რომ მოზარდი თაობა მაინც დავიხსნათ ამ სამარცხვინო სენისაგან. მოზარდ თაობას მაინც მივცეთ იმდენი მომზადება, რომ უთოფოდ და უხანჯლოდ შეეძლოს ცხოვრების ათას გვარ უკულმართობასთან ბრძოლა. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომ ყველა ის ნივთიერი ძალ-ღონე, რაც ამ ოთხი-ხუთის წლის განმავლობაში გურიამ ავაზაკთა დევნას შეალია, მოზარდ თაობის განივრულად აღზრდას მოჰხმარებოდა. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, იმდენის ფულითა, ხარჯით და ცდენით ერთის რიგიანის სამეურნეო სასწავლებლის დაარსება მაინც მოხერხდებოდა.

**

უმეცრების შესახებ ჩვენს წუხილსა და საჩივარს, ვგონებთ, ადრე და მალე მოეღოს ბოლო. ვგონებთ, თავი დავახწიოთ უმეცრებისა და სიბნელის ბრჭყალებს და ჩვენც ქვეყანაში გამოვყოთ თავი, ჩვენც ხალხში გამოვერიოთ. მადლობა ღმერთს, ისეთს სოფელს ვერ იპოვით ჩვენში, რომ თითო ოროლა სემენარიელი არ მოიძებნებოდეს და, მაშასადამე, სოფელს უმეცრება რაღას დააკლებს. ერთი მათგანი (სემინარიელისას მოგახსენებთ), თუ დარი დაუდგა, მღვდლად ეკურთხება და მრევლში დატრიალდება. მეორე (კიდევ სემინარიელისას ვამბობ) სამრევლო სკოლას გაჰმართავს და ახალ თაობას გააშუქებს განათლების სხივით. ეს რომ ასე მოხდება, ამას ცხადად გვიმტკიცებს „ივერიის“ მე-195 №-ში მოქცეული ზესტაფონიდგან მოწერილი ახალი ამბავი, რომელიც, უეჭველია, მკითხველს წაკითხული ექნება და, თუ არა აქვს წაკითხული, ვურჩევ წაიკითხოს და გაიგოს, თუ რა სანუგეშო ამბებია ჩვენში. დღე მუდამ იმასა ვწუწუნობთ და ვჩივით, გაუნათლებელნი ვართ, უმეცარნი ვართ და არაფერი გვეშველა, არც განათლების მოციქული დაგვებადა და არც მეცნიერებისაო, და თურმე ნუ იტყვით, ეს წუწუნი, ეს საჩივარი სრულიად უსაფუძვლო ყოფილა. ჩვენ ვერ შეგვინიშნავს, თორემ უკვე ამოსულა ჩვენის ბედის ვარსკვლავი და ამოსულა, ერთი და ორი-კი არა, არამედ ბლომად. მართალია, ჯერ ზესტაფონის მიდამოს მიჰნათებია იმათი ცხოველ-მყოფელი სხივები, მაგრამ, იმედია, ამ მხრით საქართველოს არც სხვა კუთხეს გასწირავს ღმერთი.

დათიკო ვერმიცანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, ტფილისის საბაღოსნო სკოლის მზრუნველად კრებამ აირჩია კნეჲნა ყრით ბ-ნი დ. ზ. ყორღანოვი, აგრონომ გეევსკის მაგიერ, რომელმაც მოუცლელობის გამო დაანება ამ თანამდებობას თავი.

## ორიოდე სიტყვა ქართულის მუსიკისა და გალობის მოყვარულთა მიმართ

წლევანდელ ზაფხულს ჩემმა სოფელ-სოფელ ლოლიალმა სხვათა წვრილმან სიმღერათა შორის ერთი კარგი და ზორბა ერიში შესძინა ჩემს სიმღერების კოლექციას. ეს ერიში, რომელსაც ჰქვია შესევა, გავიგონე თ. ნ. ტ. დ—ნის ოჯახში, თითონ მის და იმისის ქალ-ვაჟის მიერ აღსრულებული ძველებურს, 18 სიმიანს ჩანგსა, ჩონგურსა და ფორტეპიანოზედ. მისმა მუსიკალურმა მოძრაობამ, ჰარმონიულ ისტრუმენტთა შორის წყობილობამ და თვით პიესის კილომ აღტაცებაში მომიყვანა. შიგ იხატება და გამოითქმის სიმარდე, მამაცობა, კვნესა, სიხარული და გამარჯვება. კილო ქართულის სტილისა უნდა იყოს. რასაკვირველია, გადმოვიღე ნოტებზედ და ფორტეპიანოზედაც მშვენივრად იკვრის. ვინც თვალ-ყურსადევნებს, სამუსიკო კულტურის შესახები ბევრი რამ კარგი მოიპოვება ქართველ ხალხში. მაგრამ რად გინდა! იპოვნი, დასწერ, ჩასვამ სამუსიკო კალაპოტში, დაუპანტურებ ფორტეპიანოზედ და იტყვი: „ოჰ! რა კარგი, რა მშვენიერი ყოფილი ქართული მუსიკაო!“ და მიაგდებ კუთხეში. ჰგდია იქა, ვერც სტამბას ეღირსება და ვერც ქვეყანაში თავის გამოჩენას. რადაო ვითომ? იმიტომ-რომ „მოჭიდავე ხარს ღმერთმა რქები არ მისცაო“. მე იმას მოგახსენებთ, რომ ერთი კაცი, თუნდა მცოდნე თავისის საქმისა, მაგრამ ხელ-მოკლე, იმისთანა რთულს საგანს, როგორიც მუსიკა და გალობაა, ვერას გაუძლვება. ამისათვის უმორჩილესად მოვუწოდებ ახალგაზდა მუსიკის მოყვარე ქართველ ქალებსა და კაცებს და ვთხოვ მობრძანდნენ, ისწავლონ და გაიცნონ თავიანთ მუსიკა-სიმღერები და სხვებსაც გააცნონ. ვისაც დილით დრო არ აქვს, საღამოს მობრძანდნენ (ნიკოლოზის ქუჩა, № 13). მასალა ბევრი მაქვს მზად. სახელმძღვანელოდ მუსიკის შესასწავლად შედგენილი მაქვს ქართულს ენაზედ ჩემ მიერ პიესები (სასიმღეროები): სოლო, დუეტი, ტერცეტი, ხორული და სხვანი. იმედი მაქვს, საზოგადოებაც არ მოგვაკლებს თავისს ყურადღებას ამ საქმის პირველის ნაბიჯის განსახორციელებლად და მოკლე ხანში, დარწმუნებული ვარ, გავაჩაღებთ საოპერო დასს, რომელიც სასიამოვნო იქნება ყველა ქართველისათვის.

ფილიმონ ქორიძე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ნაქალაქევი** ახალ-სენაკის მაზრაშია, ახალ-სენაკიდგან ცამეტ-თოთხმეტს ვერსზედ. ნაქალაქევი ისტორიული ადგილია: პირველად ქალაქი ყოფილა, ქალაქი შესანიშნავი, სატახტო ქალაქი კოლხიდის მეფეთა, და სახელად რქმევია ეა. ჰეროდოტე ამბობს, რომ ბერძნები დიდის ნავით გამოემგზავრნენ კოლხიდის ეაში და, იპოვეს რა ოქროს მატყლოვანი ვერძი, დაბრუნებისას გაიტაცეს აქაური ხელმწიფის ასულიცა, მედეია. ვინ ააშენა ეს ქალაქი, გამოუკვლეველი და წყვდიადით მოცულია. მიზეზი გამოუკვლევლობისა, სხვათა შორის, ამ ქალაქის ძველის-ძველობაა. სტრაბონი ამბობს, ვითომ ეს ხატის აშენებული იყოს ქრისტიანობის დროს. მეექვსე საუკუნეში სცხოვრობდა თურმე აქ ზატი (Zathus), მეფე კოლხიდისა, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა კოსტანტინეპოლში, სადაც იუსტინიანე იმპერატორმა უბოძა მას ხარისხი მეფისა, გვირგვინი და პორფირი. ეკკლესია იმის დროისა ეხლაც მთელია ნაქალაქევის ციხე-ნანგრევთა შორის.

ნაქალაქევს მდებარეობით ძნელად თუ შეედრება კავკასიაში სხვა ადგილი. ახლო აქვს თვალ-უწვდენელი ჭალები, მწვანით შემოსილი მაღალი მთები და ზედ ციხეები სდგას. ნაქალაქევს შუა სოფელში უვლის მდინარე ტეხური, რომელიც ჰყოფს მას ორ ნაწილად: პირველ ნაწილს, მდებარეს აღმოსავლეთით, ეძახიან გაღმა ნაქალაქევს, მეორე ნაწილს, მდებარეს დასავლეთით, — გამოღმას. რამდენისამე წლის განმავლობაში ტეხურზედ ხიდი ჩამტვრეული იყო და მკვიდრნი ძალიან შეწუხებულნი იყვნენ, რადგანაც უძნელდებოდათ არამც თუ სხვაგან წასვლა, არამედ მეზობელთა შორის-კი შეწყვეტილი იყო მისვლა-მოსვლა. მეზობელი მეზობელთან ვერ მისულიყო უხიდობის გამო. ეს ძლიერ აწუხებდა გაღმა და გამოღმა ნაქალაქეველებს, რადგანაც გაყოფილი არაფერი არა აქვთ: ერთი ეკკლესიაა, ერთი კანცელარია, ერთი მამასახლისი — ყოველივე ესე ამკვიდრებს მათ შორის ერთობას, მეზობლობას. შარშან გვედირსა რკინის ხიდი და ამ მხრით კმაყოფილნი ვართ. თუმცა ხიდზედ იმისთანა პატარა მოაჯირია გაკეთებული, რომ ცხენის, თუ ურემის პატარა წაბორძიკება კმარა, რომ წყლის მსხვერპლად შეიქმნეს გამვლელი.

ნაქალაქევში მოსავალი გვარიანი იცის. სთესავენ სიმინდს, ფეტვს, ღომს, მაგრამ უფრო-კი სიმინდს. სიმინდი იმდენი მოჰყავთ, რომ ხალხსაც ჰყოფნის და ცოტა გასასყიდადაცა რჩებათ: ჩვენი გლეხი ძალიან ბეჯითი და მუყაითია. რაც უნდა ჯოჯოხეთის სიცხე იყოს, უდგას ყანას თოხით და იმისათვის წუთის მოსვენება არ არსებობს. მაშ რაა მიზეზი ხალხის სიღარიბისა? ამის მიზეზი არის საზოგადო ჭირი: არა გვაქვს სამეურნეო სწავლა-ცოდნა, არ გვივარგა სამეურნეო იარაღები, გვაკლია სამეურნეო ხერხი და ოსტატობა. წინად მიწა უფრო ნოყიერი იყო და უხვად ასაჩუქრებდა მხვნელ-მთესველს. ეხლა მიწას სხვა ნაირი მოვლა უნდა. ბ-ნმა ნ. კურნალმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და აქაურს კანცელარიაში, მთავრობის ნება - დართვით, წაიკითხა უფასო ლექცია ხვნა-თესვის შესახებ. ხალხი ბლომად დაესწრო. ყველა მოწიწებითა და აღტაცებით ისმენდა ბ-ნ კურნალის სწავლა-დარიგებას. ბ-ნმა კურნალმა ასე დააბოლოვა თავისი სიტყვა: იმედი მაქვს, აწი ხვნა-თესვას, მე როგორც გითხარით, ისე დაიწყებთო. ხალხმა თანხმობა და კმაყოფილება გამოაცხადა და სთქვა: თუმცა ხვნა-თესვა ამ რიგად ჩვენ არ გამოგვიცდია ჯერ, მაგრამ ავასრულებთო. ბ-ნი კურნალი აპირებს წაკითხვას ლექციისას ახალ-სენაკის მაზრის სხვა-და-სხვა სოფელშიაც. ასეთის ლექციის წაკითხვა პირველი მაგალითი უნდა იყოს, ჩემის ფიქრით, სამეგრელოში. კარგი იქნებოდა, სხვა ჩვენი მეურნენიც მიჰბაძავდნენ ბ-ნს კურნალს.

ნაქალაქევში აბანოს წყლებიც არის. ამ აბანოს სარგებლობის შესახებ არას ვიტყვი, რადგანაც ამის გამო ბევრჯელ უწერიათ. აი თუნდ ბროშურა: „Накалакевскій теплый минеральный источникъ въ Мингреліи“, доктора Сильвестра Плешковскаго. ავტორი ამ წიგნს უძღვნის სამეგრელოს მფლობელს დავით დადიანს. შევნიშნავ, რომ ამ აბანოს ბევრჯელ დიდი ავადმყოფი მოუბრუნებია. ნაქალაქევი, აბანოების დროს, ესე იგი ივნისიდამ დაწყებული ვიდრე ენკენისთვის ბოლომდე, ყოველთვის სავსე იყო ხალხით, მაგრამ ეს ორი წელიწადია, რაც ხალხმა შედარებით იკლო. მიზეზი გახლავთ ისა, რომ ვიღაც ჭკუის უარ-მყოფელი ბატონი ჩაემტერა ამ აბანოს და შარშანწინ სულ ერთიანად გადაბუგა სახლები. სახლების გადაწვა და აშენება ერთი იყო, რადგანაც ამისთანა მომგებიანს ადგილს ცარიელს ვინ გაუშვებდა. მაგრამ შარშანაც გადასწვეს და წრეულსაც სახლები მაინც ააშენეს, რადგანაც წრეულს დიდს მოგებას ელოდნენ. ქალაქებში ხოლერაა და ხალხი სოფლებისკენ, აბანოებისკენ გამოეშურებაო, ამბობდნენ. ხალხი მართლა საკმაოდ მოვიდა აქ, ისე რომ თითქმის ყველა სახლი დაქირავებული იყო. მაგრამ ჩვენი აბანო, სწორედ რომ მოგახსენოთ, ღვთის ანაბარას არის მიტოვებული. ქუჩები გაუწმენდელია, ღობე-ყორე, კარ-მიდამო უწმინდურობით სავსე, ჰყრია ძველი ნაფლეთები, ძველი წაღები და კალოშები, ბოთლებისა და სტაქნების ნატეხები და სხვანი. იმისთანა დროს, როდესაც ხოლერა მძვინვარებდა, ჩვენში ნაკლებად ჰზრუნავდნენ სისუფთავისათვის. სახლები ჭუჭყიანი იყო. იმისთანა სახლი, რომელშიაც წვიმა ჩამოდიოდა და ამასთანავე უიატაკო, უჭერო იყო, დღეში ღირდა მანათი. სასანიტარო მხრით ჩვენი აბანო იმისთანა მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ ხოლერის გაჩენას ხელს მოუმართავს. თუ ეს სენი არ გაჩნდა, ამის მიზეზია აქაური მშვენიერი ბუნება და ჰავა.

ორიოდე სიტყვა სკოლის შესახებაც. სოფელი ნაქალაქევი შესდგება, უკანასკნელი რომ ვსთქვა, სამას კომლიდგან და ამოდენა სოფელში სკოლა არ არის. სირცხვილია ჩვენთვის, როდესაც სხვა ზოგიერთ სოფლებში ორ-ორი სკოლაა და ერთი სკოლა მეორეს ეცილება: „არა, მე გამოვზრდი უკეთესად შეგირდს და არა, მეო“, ჩვენ ჩაგვძინებია და გულ-დამშვიდებულები განვისვენებთ. ყველამ შეიგნო სწავლის საჭიროება, ყველა სცდილობს გამოზარდოს თავისი შვილი, ყველამ შეიგნო, რომ სწავლა ერთად ერთი სახსარია კაცის ბედნიერება-წარმატებისათვის, სწავლას შეუძლიან ზნეობით, გონებით აღამაღლოს კაცი, გული განუსპეტაკოს, გაუკეთილშობილოს და ნივთიერადაც დააკმაყოფილოს. ყველას ესმის ჩვენში ეს საანბანო ჭეშმარიტება. მაშ რაა მიზეზი, რომ აქამდის ერთი სკოლაც ვერ გაგვიმართავს ჩვენისავე შვილების სასწავლებლად? მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ხალხი შეჩვეულია დღევანდელის საქმის ხვალისათვის გადადებას და, ამას გარდა, ნაქალაქეველებს არა ჰყავთ მოთავე, არ არის კაცი, რომელმაც გზა გაუკვალოს და სწორე გზაზედ დააყენოს ხალხი.

ნიკო ნაქალაქეველი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

### პარიჟს მოსვლა.

1836 წელს „Tréguier“-ის კოლეგიაში ყველა საჩუქარი მივიღე კარგის სწავლისათვის. ჩემი მოწმობა ნახა ერთმა პატივცემულმა კაცმა, რომელსაც უფროსმა დაავალა მოწაფეთა მოკრება. ჩემი ბედიღბალი ერთს წამს გადასწყდა. „უბძანეთ ჩემთან მოვიდესო“, სთქვა უფროსმა. მე მაშინ 15 წლისა და 6 თთვისა ვიყავი. ზაფხული სოფლად გავატარე და 4 სექტემბერს ჩემ წასაყვანად მოვიდნენ. სოფლიდგან დაბრუნება ისე მახსოვს, როგორც გუშინდელი დღე. მთელი 4 ვერსი ფეხით გავიარე. მეორე დღეს პარიჟს მივედი. თვალ წინ ისეთი სურათი წარმომიდგა, რომ მეგონა საფრანგეთიდგან ტაიტისა ან ტიმბუქტუს გადამიყვანეს - მეთქი. დიაღ, მაჰმადიანთ ფაკირი რომ ერთს წამს აზიიდგან პარიჟის ქუჩაზედ გადმოიყვანოთ, მგონია ჩემზედ მეტად არ გაჰკვირდებოდა, როცა პარიჟს ისეთი ხალხი ვნახე, რომელიც სრულიად არა ჰგავდა ჩემ ნაცნობ ბრეტანელ მოძღვართ. პარიჟში ჩემს მოსვლას სარწმუნოების გამოცვლას ვადარებ. ბრეტანის სარწმუნოება ისე განესხვავება პარიჟისას, როგორც მსხვილი ტილო წმინდა ჩითისაგან. პარიჟის სარწმუნოება სულ სხვა გვარი იყო. ბრეტანიის მოხუცნი მოძღვარნი თავის გრძელ კაბებით სწორედ რომ ბრძენთა ბრძენ-თახახიანი მიმაჩნდა და ეხლა-კი პარიჟში რაღაც უცნაური სარწმუნოება დამხვდა!

ეს დრო ჩემთვის გასაჭირი დრო იყო. ბრეტონელები საზოგადოდ ძნელად იტანენ ჰავის გამოცვლას. მე ძლიერ ვდარდობდი და სულ ერთთავად სამშობლო მაგონდებოდა. იმ სანეტარო დროს მოგონება, როცა სოფლად დედაჩემთან ვცხოვრობდი, სულსა და გულს მიხუთავდა. მაგრამ მარტო მე არ ვიტანჯებოდი. ჩემმა ერთმა მეგობარმა სამშობლოს განშორება ვერ აიტანა, ავად გახდა და გარდაიცვალა.

სწორედ მოგახსენოთ, საცა სიმართლეა, მეც-კი მაშინვე უნდა გამოვთხოვებოდი წუთი-სოფელს. ორმა ჩემმა მეგობარმა, რომლებიც შემდეგ წელს მე თითონ მოვიყვანე პანსიონში, ნათლად დაამტკიცეს სამშობლოს სიყვარული და გამოეთხოვნენ ამ ქვეყანას. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ ბრეტანელი რენანი ცოცხალი აღარ არის და უკვე გარდაიცვალა მეთქი. გასკონელი რენანი-კი, სამწუხაროდ, ისევ ცოცხალია. განსკონელმა რენანმა იფიქრა, ეს ქვეყანა ფრიად საყურადღებოა და ურიგო არ იქნება, სიცოცხლით დავსტკბეო.

## ტფილისის სამოსამართლო პალატა

თიანეთის მაზრის უფროსად ნამყოფის თ. ალექსანდრე დიმიტრის ძის აბხაზის საქმე.

6 ოქტომბერი

სასამართლოში წაკითხულ იქმნა საბრალმდებლო ოქმი, რომლიდგანაც სჩანს, რომ 1880 წელს მოუსავლობით დაზარალებულთა თიონეთის მაზრის მცხოვრებთათვის თ. აბხაზს 19,000 მანათის ქერი უნდა დაერიგებინა. ბ-ნმა აბხაზმა წარადგინა პირობის წერილი, რომლითაც ბ-ნ გრიგოლიას შეეკრა. გრიგოლიამ იკისრა ფუთი ქერი 95 კაპეიკად მიეყიდნა თ. აბხაზისათვის. თ. აბხაზმა წარადგინა აგრეთვე რვა კვიტანცია იმის დასამტკიცებლად, რომ 1250 კომლს დაურიგდა 20,000 ფუთი ქერიო.

თავდაპირველმა გამოძიებამ, როგორც საბრალმდებლო ოქმში სწერია, აღმოაჩინა, რომ ვითომ თ. აბხაზს ქერი არ უყიდნია და გლეხებისათვის ნაღდი ფული დაურიგებია: ზოგისთვის ათ-ათი მანათი და ოცი კაპეიკი და ზოგისთვის 6 მანათი და 40 კაპეიკი თითო კომლზედ. მაშასადამე, ამ ანგარიშით სულ დაურიგებია 11,507 მანათი, დანარჩენი 7493 მანათი-კი არა სჩანს რა უყო.

1882 წელს, კვლავ მოუსავლობისა გამო, თ. აფხაზს მიეცა 20,000 მანათი დაზარალებულ გლეხთათვის დასარიგებლად. თ. აბხაზმა წარადგინა კვიტანცია კიკოურაძისა დასამტკიცებლად იმისა, რომ მცხოვრებთ 20,544 მანათის ქერი დაურიგდათო. საბრალმდებლო ოქმი ამტკიცებს, ვითომ თ. აბხაზს თითო კომლისათვის ექვს-ექვსი მანათი და 20 კაპეიკი დაურიგებია ფულად, რაიცა შეადგენს (კამერალიის აღწერით) 7960 მ. 80 კაპეიკს.

თ. აბხაზს ჰბრალდება, რომ დანარჩენი 11,761 მანათი და 44 კაპეიკი არა სჩანს, რა უყოო.

ბრალმდებულმა აბხაზმა სთქვა: მართალია, ქერის მაგიერ, მცხოვრებთ ფული დაუვრიგეო, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თითონ მცხოვრებთა მთხოვეს ქერის მაგიერ ფული მოგვეცი და ჩვენ თითონ ვიყიდითო. რადგანაც მე ნება არა მქონდა ასე მოვქცეულიყავ, ამიტომ 1881 წელს პირად მოვახსენე ეს ამბავი ვიცე-გუბერნატორს ბელსკის საგუბერნიო მმართველობის მოხელე მედვედევის თანადასწრებით, რომ მე ქერის მაგიერ მცხოვრებთ ფულს ვურიგებ მეთქი. ბელსკიმ მიპასუხა: „პირობა შეჰკარით ერთ-ერთს ვაჭართან, ფულის მიღების ბარათი გამოართვით და კონტროლს წარუდგინეთო“. მოწმე მედვედევის ჩვენებით თ. აბხაზის სიტყვები გამართლდა. ამას გარდა, თ. აბხაზმა სთქვა, რომ გუბერნატორის თ. გაგარინის ბრძანებით კამერალიის აღწერის სიაში ჩაწერილ კომლებს გარდა, სხვებსაც ვურიგებდი ფულსაო, სხვათა შორის, ქვრივ-ობლებსაო. აბხაზის ეს სიტყვებიც მოწმეთა ჩვენებით დამტკიცდა.

საბრალმდებლო ოქმი დანაშაულსა სდებს თ. აბხაზს, რადგანაც ვიცე-გუბერნატორს ბელსკის მართლაც რომ ეთქვას თ. აბხაზისთვის, ქერის მაგიერ ფული დაურიგეო, თ. აბხაზი მაინც კანონის წინააღმდეგ არ უნდა მოქცეულიყოვო.

რადგანაც თიანეთში ხაზინა არ არის, ამიტომ გლეხებს ფული სამაზრო მმართველობაში შეჰქონდათ. ფულსა ჰკრეფდნენ: თვით თ. აბხაზი და სხვა მოხელენიც. 1880 წლის დეკემბრიდგან 1881 წლის დეკემბრამდე თ. აბხაზს შეუტანია ტფილისის ხაზინაში 9,555 მანათი 60 კაპ. 1883 წელს თ. აბხაზი გადიყვანეს ბორჩა-

*) იხ. „ივერია“, № 211.

ლოს მაზრაში. როცა აბხაზს დანარჩენი ფული მოსთხოვეს, აბხაზმა 1884 წელს 17 მარტს ხაზინაში შეიტანა 4,850 მანათი, ამ ფულის მიღების ბარათი წარუდგინა გუბერნატორს და მოახსენა, თუ კიდევ აკლია სახელმწიფო ფულსა, შემატყობინეთ და დანარჩენსაც შევიტანო. შემდეგ 1884 წლის აპრილამდე თ. აბხაზმა კიდევ შეიტანა ხაზინაში 1,500 მანათი. გამოძიების დროს თ. აბხაზმა სთქვა, სახელმწიფო ფულის შეტანა ხაზინაში იმიტომ დავაგვიანე, რომ ანგარიში მზად არა მქონდაო.

ყველა ამ მიზეზის გამო თ. აბხაზს ჰბრალდება, რომ 1) 1880 და 1882 წლებში მიიღო 39,000 მანათი მოუსავლობისა გამო დაზარალებულ ხევსურთათვის დასარიგებლად და მთავრობას ყალბი საბუთის ქაღალდები წარუდგინა დასამტკიცებლად იმისა, რომ გლეხებს 38,722 მანათი და 24 კაპ. დაურიგეო. გარდა ამისა, ანგარიშში ნაჩვენებია, ფუთი ქერი 95 და 96 კაპ. ვიყიდეო, მაშინ როდესაც იმ დროს ფუთი ქერი 40—65 კაპეიკად იყიდებოდა, და 2) რომ თ. აბხაზმა მოჰკრიბა სახელმწიფო ხარჯი 9,555 მანათი და თითონ დაჰხარჯა; როცა ეს ფული მოსთხოვეს, ხაზინაში წარადგინა 7850 მანათი და დანარჩენი-კი—1705 მანათი და 60 კაპ. აქამდე არ წარუდგენიაო.

თ. აბხაზმა ეს დანაშაული არ იკისრა.

(შემდეგი იქნება)

## სასარგებლო ცნობანი

ჟურნალ „სოფლის მეურნეობას“ მოჰყავს ძლიერ სასარგებლო დარიგებანი გერმანელ ცხვრის მომშენებელ კერტისა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუარონ და ასაზრდოონ ცხვარი, რომ საუკეთესო თვისებისა და ბევრი მატყლი შეჰკრიბონ. ამისათვის საჭიროა: 1) ნოყიერი საზრდო აძლიონ საკმაოდ და სუფთად შეინახონ; ერთს კვირას რომ ნაკლებად ასაზრდოონ, ისიც ცუდად იმოქმედებს მატყლის ღირსებისათვის; 2) გადამეტებულ საზრდოს ძლევაც ცუდია: კანონმიერად საჭირო არაა მეტი ხარჯი, რასაც სოფლის მეურნე ყოველთვის უნდა ერიდებოდეს, და მეორეც, ერთის ჯიშის, გრძელ-ბეწვიანს ცხვარს, თუ მეტი საზრდო აძლიეთ, ბალანი უფრო გრძელი, მსხვილი და მაგარი ეზრდება, რაიცა არ შეადგენს კარგს თვისებას მატყლისას; 3) მინდვრის საბალახოდგან უცებ არ უნდა გადმოიყვანონ ცხვარი ბაგაში სასაზრდოოდ: ამ მხრივ თანდათანობა უნდა დაიცან, როგორც ჰიგიენა მოითხოვს; 4) გამრავლისა და ნოყიერის საზრდოს ძლევით წმინდა მატყლი ეზრდება ცხვარს, ამიტომ მოკლე, ხშირი და ცვრიანი ბალანი საუკეთესო ღირსებისა და თვისების მატყლს იძლევა; ეს მატყლი წმინდაა, ჰბზინავს, მაგარია და გამძლე; 5) ერთისა და იმავე ფარას ორი ცხვარი ერთის ჯიშისა, ერთ გვარი მატყლიც რომ ჰქონდეს, თუ სხვა-და-სხვა გვარად ასაზრდოეთ, ერთს ზომიერად აძლიეთ საზრდო და სუფთად შეინახეთ და მეორეს-კი უუათიანი საზრდო აძლიეთ, პირველ გაკრეჭის დროსვე შეეტყობა გავლნა ასე შენახვისა და პატრონობისა. პირველს წმინდა, საკმაოდ მაგარი და გამძლე მატყლი ექმნება და მეორეს-კი მეტად გრძელი, მომსხო, მაგარი და უფრო ჯაგრის მსგავსი მატყლი. ეს განსხვავება თანდათან იმატებს, თუ განვაგრძეთ და უწინდელებრ სხვა-და-სხვა გვარად ვაძლიეთ საზრდო. შემდეგში იმ ორის ცხვრის ჩამომავლობა იქამდე მიაღწევს, რომ ვერ გამოიცნობ, თუ ისინი ერთისა და იმავე ჯიშისანი არიან, და 6) კერტის აზრით, ეხლანდელს ცხვრებს სულ სხვა ნაირი მოვლა და საზრდოება უნდა, ვიდრე 30—40 წლის წინად უნდოდა. ამიტომაც ეხლანდელის ცხვრის მატყლი სულ სხვა თვისებისა და ღირსებისაა: ეს არც საკვირველია, რადგან სწავლა-განათლება როგორც დედამიწის ნიადაგს და ადამიანებს ასხვაფერებს, აგრეთვე ცხვრებსა და მათს მატყლზედა აქვს მოქმედება.

# დეპეშა

7 ოქტომბერი

**პეტერბურგი**, 6 ოქტომბერი. ს.-პეტერბურგის ბირჟა: ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების 6%-იან და 5%-ან გირავნობის ფურცლებში იძლევიან 102 მან. 25 კაპ. და 99 მ. 87 კ., ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების 5%-იანი ობლიგაციები 98 მან. და 50 კაპ. გაიყიდა.

**პეტერბურგი**, 7 ოქტომბერი. სამხატვრო ჟურნალი „Петербургскій Жизнь“ შეიძინა „Новости“-ს რედაქტორმა ნოტოვიჩმა. ჟურნალის სახე ახლა შეიცვლება და თანამშრომლობას გაუწევენ პირველ-ხარისხოვანნი მხატვარნი და მწერალნი.

დღეს დაარსდა „საელექტრო-ტეხნიკო საზოგადოება“.

კონტრაბანდის გაძლიერებამ რუსეთისა და სპარსეთის საზღვარზედ გამოიწვია დარაჯთა რიცხვის მომატება და დაწესება ახალის სატამოჟნო ბინებისა.

**ვარშავა**. დაიწვა კარგა დიდი ნაწილი ქალაქის სედლეცისა.

**რიგა**. საპოლიტეხნიკო სასწავლებლის საბჭოს მიეწერა, რომ მთლად საქმეთ-წარმოება რუსულად იყოს მაგ სასწავლებელშიო.

**ლონდონი**. „Times“-ს სწერენ სტამბოლიდგან, რომ რუსეთის ელჩი ინახულა ხონთქარმა და დიდხანს ელაპარაკაო.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,96 | 7,98 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 159¼ | 160 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის ხესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 217 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან. დღისით,

**ფოთიდგ გადის:ნ**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის,დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი

ქალაქის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ იმისსავე სადგომში, 5 ნოემბერს 1892 წელს, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა ვერის ხიდის შემოსავლის იჯარით გასაცემად 1 იანვრიდგან 1893 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (4—1)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—120)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—18)

ბუნების კარი

დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეხუთე გამოცემიდგან, რომელიც სახელ-გაკეთებულია (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერსახელმძღვანელო ქართულის ენისა სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიებისათვის“, და აგრეთვე უწმიდესის სინოდის მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყდით ოთხაბაზუზალთუნი (90კაპ.), უყდოდ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შაურადდავინც ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შაურად.

სხვა ქალაქებიდგან წიგნი უნდა დაიბარონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караванъ-Сарай, № 125 и 126.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„ივერია“
1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდ-დე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. | . . 10 მ.—კ. | 6 თვით | . . . 6 მ.—კ. |
| 11 ,, | . . . 9 ,, 50,, | 5 ,, | . . . 5 ,, 50,, |
| 10 ,, | . . . 8 ,, 75,, | 4 ,, | . . . 4 ,, 75,, |
| 9 ,, | . . . 8 ,, —,, | 3 ,, | . . . 3 ,, 50,, |
| 8 ,, | . . . 7 ,, 25,, | 2 ,, | . . . 2 ,, 75,, |
| 7 ,, | . . . 6 ,, 50,, | 1 ,, | . . . 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.